თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომის

ოქმი № 2

ქ. თერჯოლა 13.02 2023 წელი

სხდომას უძღვებოდა: კომისიის თავმჯდომარე შალვა ჭანკვეტაძე

სხდომას ესწრებოდნენ: 1.შალვა ჭანკვეტაძე, 2. ლაშა გურგენიძე, 3. იზა მაგრაქველიძე, 4. ნინო მახათაძე, 5. ელისო მურადაშვილი, 6. დავით გოგბერაშვილი, 7. ბადრი ბუცხრიკიძე.

სხდომას არ ესწრებოდნენ: 1 . კობა კირკიტაძე, 2. კახა ბუცხრიკიძე, 3. დავით ცხადაძე, 4. ტარიელ ფანჩულიძე

კომისიის შემადგენლობა: 11 წევრი
დამსწრე წევრთა რაოდენობა: 7
კვორუმი: 6 წევრი

დღის წესრიგი:

1. თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული საჭიროების მქონე ბავშვიანი ოჯახების მხარდაჭერისა და გაძლიერების 2023 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი №28-282304090, 09.02.2023 წ.).

მომხს.: შ. ჭანკვეტაძე

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 7, წინააღმდეგი - 0

დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ შალვა ჭანკვეტაძემ ბიუროს წევრებს გააცნო თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული საჭიროების მქონე ბავშვიანი ოჯახების მხარდაჭერისა და გაძლიერების 2023 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი - პროგრამის ამოცანაა „ბავშვის უფლებათა კოდექსით“ განსაზღვრული ოჯახის/ბავშვის მხარდამჭერი ღონისძიება, რომლის მიზანია ბავშვის მიტოვების ან ოჯახისგან განცალკევების პრევენცია, სიღატაკეში ან/და კრიზისში მყოფი ბავშვიანი ოჯახების პირველადი საჭიროებების დაკმაყოფილება და ბავშვის ოჯახურ გარემოში აღზრდის ხელშეწყობა.პროგრამის განხორციელება ხელს შეუწყობს თერჯოლის მუნიციპალიტეტში

მცხოვრები საჭიროების მქონე ბავშვიანი ოჯახების გაძლიერებას და ბავშვის ოჯახურ გარემოში აღზრდა-განვითარებას.

აზრი გამოთქვეს: ნინო მახათაძემ, ბადრი ბუცხრიკიძემ.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 7 წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: განსახილველად გავიდეს ბიუროზე საკითხი თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული საჭიროების მქონე ბავშვიანი ოჯახების მხარდაჭერისა და გაძლიერების 2023 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ.

კომისიის თავმჯდომარე

შალვა ჭანკვეტაძე